



კალდ & თავართი

მშენიშნობის მსახურები

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

31 მაისი 2023

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გიგა ნოზაძე

ანალიტიკოსი | gnozadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.2536



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თ/თ*	ცვლილება, წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება იან-21-დან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	147.5	-19.2%	-60.7%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	77.0	-0.9%	-10.4%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,106.0	-5.0%	-3.1%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,485.0	-3.9%	-9.7%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,790.2	-7.3%	-9.7%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	1,946.5	-2.1%	+6.7%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მილიონი მ ³	25.4	-42.5%	-64.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	250.0	-9.1%	-19.7%	

წყარო: ბლუმბერგი

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2023 წლის მაისში, ნავთობის ფასი თვიურად 0.9%-ით შემცირდა, მას შემდეგ რაც ფასები მკვეთრად გაიზარდა 2023 წლის აპრილში OPEC-ის მიერ მიწოდების შემცირების განცხადების გამო. თუმცა, ფასები სწრაფად დაუბრუნდა საწყის მაჩვენებლებს გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მოლოდინების გამო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ნავთობის (Brent) საშუალოწლიური ფასი 2023 წელს \$84.0-ს გაუტოლდება (-15.9% წ/წ) და \$86.0-ს (+2.4% წ/წ) 2024 წელს.

ბუნებრივი აირი


2023 წლის მაისში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 42.5%-ით შემცირდა. ამასთან, 2022 წელს ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია რუსეთის მიწოდების შემცირებისა და პანდემიის შემდგომი ეკონომიკის გაჯანსაღების გამო. ფასების თანდათანობითი ვარდნა სავარაუდოდ უკავშირდება ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს, გლობალური ეკონომიკური აქტივობის შენელებას და ევროპაში გაზის დაზოგვის ტენდენციას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბუნებრივი აირის (ევროპა) საშუალოწლიური ფასი 2023 წელს \$19.0-ს გაუტოლდება (-52.9% წ/წ) და \$17.0-ს (-10.5% წ/წ) 2024 წელს.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRN00), აშშ დოლარი/ბარელი




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/ათასი მ³




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის მაისში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 19.2%-ით შემცირდა. სასუქების ფასებმა შემცირება დაიწყო 2021 წლის ბოლოდან, რაც ძირითადად გამოწვეულია ბუნებრივი აირის ფასების დაცემით (სასუქის წარმოება საჭიროებს გაზის დიდი რაოდენობით მოხმარებას), მიწოდების გაუმჯობესებული პერსპექტივით და ვაჭრობის გადამისამართებით: რუსეთზე სანქციების გამო დეფიციტის მოლოდინების საწინააღმდეგოდ, ბოლო პერიოდში ფასი ეცემა, რადგან რუსულმა ექსპორტმა ევროპიდან (ძირითადად) ჩინეთსა და ინდოეთში გადაინაცვლა.

ხორბალი


2023 წლის მაისში ხორბლის ფასი თვიურად 9.1%-ით შემცირდა. მსოფლიო ბანკის თანახმად, უკრაინაში ომის შემდგომი შეფერხებები თავიდან აცილების და ხორბლის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების კარგი მოსავლის მოლოდინების გათვალისწინებით, 2023 წელს ხორბლის (U.S., HRW) საშუალოწლიური ფასი \$355.0-ს (-17.4% წ/წ), ხოლო 2024 წელს \$335.0-ს (-5.6% წ/წ) გაუტოლდება.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის მაისში სპილენძის ფასი თვიურად 5.0%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, სპილენძის ფასი 2023 წელს შედარებით სტაბილური იყო და მერყეობდა 8,500 აშშ დოლარიდან 9,000 აშშ დოლარამდე. ამასთან, ჩინეთის ეკონომიკის გახსნამ 2023 წლის პირველ კვარტალში არ შეუწყო ხელი სპილენძის ფასის ზრდას, რაც შეიძლება აიხსნას ზოგიერთ განვითარებულ ეკონომიკაში უძრავი ქონების სექტორების შენელებით. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსალოდნელია რომ სპილენძის საშუალოწლიური ფასი 2023 წელს \$8,500.0-ს (-3.7% წ/წ), ხოლო 2024 წელს \$8,000.0-ს (-5.9% წ/წ) გაუტოლდება.


ფეროსილიკონი

2023 წლის მაისში ჩინურ და ევროპულ ფეროსილიკონზე ფასები შემცირდა, შესაბამისად, 3.9%-ით თ/თ და 7.3%-ით თ/თ. ფეროშენადნობების ფასებმა პიკს მიაღწია 2021 წელს და, დროებითი შემცირების შემდეგ, კვლავ გაიზარდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების დროს. თუმცა, ერთი მხრივ ჩინეთის უძრავი ქონების სექტორის კრიზისისა და ნულოვანი COVID-ის პოლიტიკის, ხოლო მეორე მხრივ ევროპაში ნეგატიური განწყობების გამო, ფასებმა 2022 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო შემცირება. ჩინეთის ეკონომიკის აღდგენას 2023 წელს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა არ მოუხდენია ფასების ზრდაზე.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო

2023 წლის მაისში ოქროს ფასი თვიურად 2.1%-ით შემცირდა. გაურკვეველობისა და მალალი ინფლაციის პერიოდებში, ოქრო ითვლება ე.წ. safe-haven აქტივად. ამის გამო, ოქროზე მოთხოვნა გაიზარდა 2023 წლის აშშ/ევროპის საბანკო კრიზისის ფონზე, რამაც ხელი შეუწყო ფასების ზრდას ბოლო თვეებში და ოქროს ფასმა 2023 წლის აპრილში 2,000 აშშ დოლარს მიაღწია.


საპროცენტო განაკვეთებთან და, შესაბამისად, აშშ დოლართან უარყოფითი კორელაციის გამო, 2023 წელს მოსალოდნელია ოქროს ფასის ზრდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსალოდნელია რომ 2023 წელს ოქროს საშუალოწლიური ფასი გაუტოლდება \$1,900.0-ს (+5.5% წ/წ), ხოლო 2024 წელს \$1,750.0-ს (-7.9% წ/წ).

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაყვამულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ აცხადებენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ევა ბოჭორიშვილი | evaboshorishvili@gt.ge

ეკონომისტი

ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი

კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი

მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი

თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი

გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

ანალიტიკოსი

გიორგი ციციტიშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი

ზურაბ თავცილიშვილი | ztavklishvili@gt.ge

ანალიტიკოსი

სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge